ბახვიჰესი

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

„ჩვენ შევასრულეთ დანაპირები და გავამართლეთ ნდობა, რომელიც მოვიპოვეთ“

ბახვი ჰესის დირექტორი, გიორგი აბრამიშვილი ტელეკომპანია გურია ტვ-ს ჟურნალისტ თამთა დოლიძესთან გადაცემაში „თქვენთან ერთად“

ბახვი ჰესის დირექტორი გიორგი აბრამიშვილი და გურია ტვ-ის ჟურნალისტი თამთა დოლიძე

- მოგესალმებით ბატონო გიორგი, მადლობა სტუმრობისთვის. რა ეტაპზეა ბახვი ჰესის მშენებლობის პროექტი, რომელიც 2021 წელს დაიწყეთ?

- მოგესალმებით და დიდი მადლობა მოწვევისთვის. პროექტზე მუშაობა 2021 წელს დავიწყეთ, თუმცა 2021-2022 წლებში ჩვენ ბევრი დრო დავუთმეთ კვლევებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობებს. შემდეგ, როცა მოსახლეობაში არსებულ ყველა კითხვას გავეცით პასუხი, გადავედით ნებართვების მოპოვების სტადიაზე, 2023 წლის გაზაფხულიდან კი დავიწყეთ მშენებლობის პროცესი. ამჟამად საკმაოდ აქტიურ ფაზაში ვიმყოფებით. 2-3 თვეში უნდა დასრულდეს ბახვი 2 ბ, ბახვი 2 ა დასრულდება ზაფხულის ბოლოს, ხოლო ბახვი 1-ის დასრულება წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

- დაინტერესებული მხარეები ახლა ეთ და მოგვიყევით, როგორ შეიქმნა თქვენი სოციალური პროექტების კომპონენტი და თუ შეიძლება უკვე შედეგებზე საუბარი?

- ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სოციალური პროგრამის მაღალი სტანდარტით განხორციელება. თავიდან საჭიროებების კვლევით დავიწყეთ და აქ დიდი როლი ითამაშა ჩვენმა მრჩეველთა საბჭომ და საბჭოს წევრების რეკომენდაციებმა. კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ არა ერთი კარდაკარი, გამოვკითხეთ მოსახლეობა. გადავამუშავეთ მონაცემები და შევადგინეთ პროგრამა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მცირე ბიზნესის დახმარებას, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირების თანადგომას, ტურიზმის ხელშეწყობას, სტუმარ-მასპინძლობის სექტორის გაძლიერებასა და გურული ჩაის ბრენდის მხარდაჭერას. ვცდილობთ, რომ ჩვენი სოციალური პროექტები სამართლიანად იყოს გადანაწილებული და მისწვდეს ყველა იმ ადამიანს და ოჯახს, რომელიც სამუშაოების განხორციელების არეალში ცხოვრობს. გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სოციალური პროგრამის 80 % შესრულებული გვაქვს. არის გარკვეული პროექტები, რომლებიც სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე გაგრძელდება. ვფიქრობთ, შევძელით და ყველასთვის თანაბრად გვაქვს სარგებელი გადანაწილებული.

- როგორც ვიცი, ადგილობრივების დასაქმების კომპონენტს მოიცავდა პროექტი და თუ შეიძლება მოგვიყევით ამ ნაწილზეც.

- დიახ, ადგილობრივების დასაქმების კომპონენტი ნამდვილად იყო დანაპირებიც და გარკვეულწილად გამოწვევაც. თუმცა, აქაც შემიძლია ვთქვა, რომ პროცესმა, რომელიც იყო აბსოლუტურად გამჭვირვალე, ექსცესების გარეშე ჩაიარა. ვიტყოდი, რომ ყველა დანაპირები, რაც პროექტის დასაწყისში გავეცით, წარმატებით არის შესრულებული. ამჟამად 79 ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული ჩვენს პროექტზე. ზაფხულში, იქიდან გამომდინარე, რომ სამუშაოები იმატებს, ცოტა გაიზრდება მათი რიცხვი, თუმცა, სამუშაოს შემცირებასთან ერთად ეტაპობრივად მოხდება ამ რიცხვის შემცირება პირდაპირი წესით დასაქმების გარდა, ჩვენ ვცდილობთ ავითვისოთ ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც ადგილზე არსებობს. მაგალითად, ვქირაობთ ადგილზე მძიმე ტექნიკას, ასევე, გვყავს ადგილობრივი მომწოდებლები.

- 4 წელი გავიდა რაც გურიაში ამ პროექტს ახორციელებთ, მაინტერესებს, როცა დასრულდება ეს ყველაფერი, როგორ ფიქრობთ, რა ტიპის გამოცდილება დარჩება რეგიონში?

- 4 წელი გავიდა და მე დღეს თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ შევასრულეთ დანაპირები, რომელიც პროექტის საწყის ეტაპზე გავეცით და ნდობა რომელიც მოვიპოვეთ, გავამართლეთ. ვფიქრობ, რომ ბახვი ჰესი საქართველოს მასშტაბით სამაგალითო პროექტია და ნამდვილად შევქმნით საინტერესო გამოცდილებას როგორც რეგიონისთვის, ასევე საქართველოს მასშტაბით. ჩვენს გუნდთან და ჩვენი სტანდარტით მუშაობა, ნამდვილად არის საუკეთესო გამოცდილება თითოეული აქ დასაქმებულისთვის. ამ პროექტზე მომუშავე ადამიანები იძენენ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას თანამედროვე პროექტების მშენებლობასა და მართვაში. ბევრმა ახალი ხელობა შეისწავლა, ნახა მშენებლობის სტანდარტი, ნახა შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით მუშაობის უპირატესობა, რასაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. დასავლური სტანდარტებით მუშაობა, რასაც ჩვენ ვახორციელებთ მოითხოვს უმნიშნელო დეტალების გათვლასაც კი და ისეთი ტიპის დამზოგველი მეთოდების გამოყენებას მშენებლობისას, რომელიც უზრუნველყოფს ზეგავლენის შემცირებას, გარემოსდაცვით აქტივობებს. ეს ყველაფერი კი მუშაობისას ცოდნასა და გამოცდილებაში გადადის. ასევე, ჩვენი სოციალური პროგრამა დატოვებს იმ მდგრადი განვითარების პროექტებს, რომელთაც ჩვენ მივეცით სტარტი, იქნება ეს სტუმარ-მასპინძლობის კომპონენტის განვითარება, თუ გურული ჩაის აღორძინება, ენერგოეფექტური განათება ბახმაროში, თუ წყალგაყვანილობის სისტემა ვანისქედში. და რაც ყველაზე საამაყოა, ჩვენი განათლების კომპონენტი თავიდან ბოლომდე ცვლის მიდგომებსა და ამაღლებს ცნობიერებას გარემოსდაცვით და განახლებად ენერგიებთან მიმართებაში. ჩვენი სტუდენტური საგრანტო პროგრამა კი პირდაპირ აძლევს შესაძლებლობას ადგილობრივ ახალგაზრდებს, დაეუფლონ მოთხოვნად პროფესიებს და გახდნენ წარმატებულები.

- რამდენად გაიზიარებენ სხვები ამ სტანდარტსა და გამოცდილებას?

- სხვათაშორის ჩვენ მუდმივად ვაზიარებთ ჩვენ ცოდნასა და გამოცდილებას არა მარტო ადგილობრივად, არამედ სხვადასხვა წრეებში. ვატარებთ შეხვედრებს, გვაქვს წარმატებული მაგალითების განხილვები და ვცდილობთ, სხვა დეველოპერებსაც გავუზიაროთ ის შედეგები, რომელსაც ამ ტიპის დაგეგმვითა და მუშაობით მივაღწიეთ. ჩვენ გვაქვს საინტერესო გზავნილი, „ჩვენ ერთად ვაშენებთ“ რაც გულისხმობს იმას, რომ პროექტში მაქსიმალური ჩართულობა გვაქვს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების. გვაქვს დიალოგი და არა მონოლოგი, ვართ პროაქტიულები და არა რეაქტიულები. შესაბამისად, ეს გამჭვირვალობა და ჩართულობა უზრუნველყოფს იმ განცდას, რომ ჩვენ მარტონი არ ვართ და ვაშენებთ ადგილობრივებთან ერთად პროექტს, რომლითაც ყველა ერთად ვიამაყებთ სულ მალე. ეს განცდა არა მხოლოდ ჩვენ გვაქვს, არამედ ჩართულ მხარეებსაც.

#ერთადვაშენებთ

ბახვი ჰესის შესახებ

ბახვი ჰესი მართავს მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტებს, რომლებიც დაგეგმილია მდინარე ბახვისწყალზე.

განსახორციელებელი პროექტები მოქცეულია ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. მათი ჯამური დადგმული სიმძლავრეა 43 მეგავატი, წლიური დაგეგმილი გამომუშავება კი, 180.5 მილიონ კილოვატსაათია.

ბახვი ჰესის ტრენინგები ჩხაკაურასა და მთისპირის სკოლებში განახლდა

2025 წლის 26 აპრილს განახლდა ტრენინგები ჩხაკაურასა და მთისპირის საჯარო სკოლებში. ლექცია სათაურით „მდგრადი ენერგეტიკა და მდგრადი განვითარება„ მოწვეულმა ტრენერმა ნინო მაღრაძემ წაიკითხა.

სოფელი მთისპირის საჯარო სკოლა

სოფელი ჩხაკაურას საჯარო სკოლა

ნინო მაღრაძე კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) კომერციული ხელმძღვანელია. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება გარემოსდაცვითი განათლებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით. ამ ტრენინგის მიზანი იყო მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავება, მდგრადი განვითარების 2023 წლის მიზნებზე (SDG), განახლებადი ენერგიის მნიშვნელობაზე და ენერგიის ჭკვიან მოხმარებაზე საუბარი. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ადგილობრივ კონტექსტზე - როგორ შეიძლება თითოეულმა მოქალაქემ, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, საკუთარი წვლილი შეიტანონ გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევაში. ტრენინგის მსვლელობისას გამოყენებული იყო პრეზენტაციები, გაიმართა საინტერესო დისკუსიები და კითხვა-პასუხის სესიები. მონაწილეებმა იმსჯელეს საკუთარ ყოველდღიურ გამოცდილებაზე, გაეცნენ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს უწყობს ენერგიის დაზოგვას და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას. ტრენინგის მონაწილეები აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიებში, გამოავლინეს მაღალი მოტივაცია და ინტერესიანი დამოკიდებულება განხილული თემების მიმართ.

„მსგავსი პროექტები დიდ გავლენას ახდენს მომავალი თაობის ეკოლოგიურ/გარემოსდაცვით ცნობიერებაზე და მათ ქცევაზე. ბავშვებისთვის ენერგეტიკის თემების ასე ადრეულ ასაკში გაცნობა ზრდის მათი პასუხისმგებლობის გრძნობას და შეიძლება იყოს სტიმული სამომავლო კარიერული ინტერესებისთვისაც. ბავშვების აქტიურობამ და გააზრებულმა კითხვებმა ცხადყო, რომ მათ უკვე ჩამოუყალიბდათ მნიშვნელოვანი ცოდნა ამ სფეროში - რაც ნიშნავს, რომ წლების განმავლობაში გაწეული შრომა ნამდვილად გამოისახა შედეგში. მსგავსი ტრენინგები არა მხოლოდ ცოდნას, არამედ მოტივაციასაც აძლევს მოსწავლეებს, თავად გახდნენ ასეთი ცვლილებების მამოძრავებელი ძალა“, - განაცხადა ნინო მაღრაძემ ჩვენთან საუბრისას.

ჩოხატაურში შშმ პირების მშობლებისა და მოზარდებისთვის თერაპიული პროგრამის მესამე ეტაპი იწყება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი პირების მშობლებისთვის და ასევე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდებისთვის სპეციალური თერაპიული პროგრამის მეორე ეტაპი დასრულდა და 2025 წლის მაისიდან მესამე ეტაპი იწყება.

პროექტის „ვისწავლოთ, ვიმუშაოთ, ვიმოქმედოთ ერთად“ დასკვნითი ღონისძიება ჩოხატაურში გაიმართა, რომლის ფარგლებშიც პროექტის ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა შეაჯამეს გასული წლის საქმიანობა და მესამე ეტაპის დაწყება დააანონსეს. მშობელთა კლუბს 13 ახალი მშობელი შემოუერთდა. 2025 წლის პროგრამას 25 აქტიური ბენეფიციარი ეყოლება. 2025 წლის პირველი შეხვედრები კი მაისი თვეში გაიმართება.

„ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტები გამოირჩევა იმით, რომ მდგრადია და მათი განვითარება თანმიმდევრულად ხდება. ვფიქრობთ, ამ ტიპის მიდგომა მსგავსი პროექტების განხორციელებისას იძლევა შედეგს და მოაქვს რეალური ცვლილება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზატორებმა და მშობლებმა ერთობლივი მუშაობით და თერაპიებით, შეძლეს და დაამსხვრიეს სტიგმა, შეცვალეს აღქმა და შეხედულება, გაცილებით ძლიერები და ბედნიერები არიან დღეს, რადგან გაუჩნდათ მომავლის ხედვა. ასევე, მნიშვნელოვანია ის პარტნიორობა, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში შედგა კერძო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. ჩვენ ერთობლივად ვზრუნავთ და ვგულშემატკივრობთ პროექტს და გვახარებს ის ფაქტი, რომ გვაქვს საშუალება კიდევ ერთი წლით გავაგრძელოთ ჩვენი მხარდაჭერა“, - განაცხადა ბახვი ჰესის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, **ნიცა ჩოლოყაშვილმა.**

საანგარიშო შეხვედრის დასასრულს გაიმართა საბავშვო სპექტაკლი, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა ერთად წარადგინეს. ღონისძიებას ბენეფიციარებთან ერთად ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და კომპანია ბახვი ჰესის წარმომადგენლები.

შშმ პირთა მშობელთა კლუბის შეხვედრა

ფოტორუბრიკა

სამშენებლო პერიმეტრის სტუმრები ჩვენი თანამშრომლების ობიექტივში

სამშენებლო მოედნის პერიმეტრზე გადავიღეთ კავკასიური სალამანდრას ფოტო.
ის წითელი წიგნის ნუსხაში შეტანილი სახეობაა. ეს სახეობა ძირითადად გვხვდება წიფლის, წიწვიან, ბზის ტყეებში, ხმელთაშუაზღვის ბუჩქნარში, შერეულ ტყეებში, სუბალპურ სარტყელსა და ალპურ მდელოებზე.
ეს სახეობა ერიდება დიდ ნაკადებს და ძირითადად მდინარის შენაკადებში ცხოვრობს, როგორც წესი, 1-1.5 მ სიგანისა და დაახლოებით 20-30 სმ სიღრმის ნაკადულებში. ის ვერ ცოცხლობს მღვრიე წყალში. შესაბამისად, მისი სამშენებლო პერიმეტრზე დაფიქსირება, ჩვენთვის განსაკუთრებულად სასიხარულოა. ფოტო გადაიღო ბიომრავალფეროვნების მკვლევარმა ნიკო ქერდიყოშვილმა.

კავკასიური სალამანდრა